საქართველო
- 239 -
თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის
მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და
მატერიალურ-ტექნიკური
უზრუნველყოფის სამსახური
ქუთაისი 4600 რუსთაველის გამზ. №3
ტელ: 24-24-03
24-46-33

GEORGIA
239
The Service of State Procurement
and Material-Technical provide
of Kutaisi City Hall
Kutaisi 4600 Rustaveli str. 3
TEL: 24-24-03
24-46-33

№ 05-44
04.11.2013 წ

შ.პ.ს „სანდო"-ს დირექტორს
ბატონ ბადრი მიქაძეს

ბატონო ბადრი,

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ქალაქ ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების (კომისიის 04.11.2013 წლის სხდომის ოქმი №2) საფუძველზე გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისში თომაშვილის ქუჩაზე დარჩენილ მოუპირკეთებელ ტერიტორიაზე, ტროტუარებისა და მწვანე საფარის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით კონსკურსი (სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.procurement.gov.ge, საკონკურსო განაცხადი №1010. 30.10.2013 წელი) გამოცხადებული იყო 1000 (ერთი ათასი) ლარზე დღგ-ს ჩათვლით. თქვენ საკონკურსო წინადადება წარმოადგინეთ 970 (ცხრაას სამოცდაათი) ლარზე დღგ-ს გარეშე. სინამდვილეში კი საკონსკურსო წინადადების ფასი დღგ-ს გარეშე უნდა წარმოგედგინათ 847,50 (რვაას ორმოცდაშვიდი და 50 თეთრი) ლარზე.

ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას, ამიტომ კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების მე-15 მუხლის გათვალისწინებით საკონკურსო კომისიის მიერ თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაცია არ იქნა განხილული.

პატივისცემით,

ზურაბ გაბიძაშვილი

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე